სიკვდილი გერმანელ ოკუპანტებს!

მუდარ-ბლუხური
წითელი არმიის
მებრძოლი

ამიერკავკასიის ფრონტის წითელარმიული გაზეთი
Красноармейская газета Закавказского фронта „Боец РККА" на грузинском языке

№ 129 (243) | სამშაბათი, 21 ნოემბერი | 1944 წ.

ახლა ყველა აღიარებს, რომ საბჭოთა ხალხმა თავისი თავდადებული ბრძოლით იხსნა ევროპის ცივილიზაცია ფაშისტ დამრბევთაგან. ეს არის საბჭოთა ხალხის დიდი დამსახურება კაცობრიობის ისტორიის წინაშე.

ი. სტალინი.

საბჭოთა პატრიოტიზმის ძალა

ხალხის ცხოვრებაში არის მომენტები, როცა იგი ხედავს თავის თავს ძალის სიდიადით, როცა მისი საქმეები წარმოსდგებიან მის წინაშე, ძლიერი და კაშკაშა შუქით განათებულნი. ბრძოლის გამოცდილები წარმოადგენს ასეთ მომენტებს საბჭოთა ხალხის ცხოვრებაში.

დიდი სტალინის თვითეული სიტყვა გვიმარტავს აზრს, გვაიარაღებს ... სტალინის ისტორიული მოხსენება დიდი მოვლენაა ხალხის იდეურ ცხოვრებაში. იმ სამშობლოს, რომელზეც აქვს საბჭოთა ადამიანებს მთელი ბელადს, [illegible] პერსპექტივები მიახლ. ოქტომბრის საზეიმო დღეებში ჩვენ კიდევ ნათლად დავინახეთ ჩვენი ხალხის მიერ გავლილი გზა, დავინახეთ მთელი ჩვენი ქვეყანა, დავინახეთ ჩვენი სამშობლო — და უფრო ძლიერ აძგერდა ჩვენი გული, უფრო მგზნებარე გახდა ჩვენი სიყვარულის გრძნობა დედა-სამშობლოსადმი, რომლის ნათელი სახე აღგვაფრთოვანებს მშვიდობიანობის დღეებშიც და ომის დღეებშიც.

საბჭოთა სამშობლოსადმი სიყვარული ჩვენი ხალხის გამარჯვებათა წყაროა. [illegible]

[illegible]

„პრავდის" 17 ნოემბრის მოწინავიდან.

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

19 ნოემბრის ოპერატიული ცნობა

19 ნოემბრის განმავლობაში უნგრეთში ჩვენმა ჯარებმა ბრძოლით დაიკავეს ქალაქი და რკინიგზის სადგური დიენდიოში, აგრეთვე დაიკავეს რამდენიმე სხვა დასახლებული პუნქტი, მათ შორის ზენრად-კაკი, ზერემბელი, ტოფალუ, ვეჩი, ხევეშუვრა, ბოლდოგი, ვაგლა-ხევიზი.

ფრონტის სხვა უბნებზე მზვერავები მოქმედებდნენ და მთელ რიგ პუნქტებში ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლები სწარმოებდა.

18 ნოემბერს ჩვენმა ჯარებმა დააზიანეს და მოსპეს გერმანელთა 17 ტანკი. საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 35 თვითმფრინავი.

20 ნოემბრის ოპერატიული ცნობა

20 ნოემბერს უნგრეთში ჩვენმა ჯარებმა ბრძოლებით დაიკავეს რამდენიმე დასახლებული პუნქტი, მათ შორის ჩანალოში, გესტელი, სირმა, ჩაბა, დიოშ-დიორი, ოშტოროში, ეგერსალოკი, დემიენი, დემოსლო, მარკაზი, ვიშონტა და რკინიგზის სადგური კიშტალია.

ფრონტის სხვა უბნებზე მზვერავები მოქმედებდნენ და მთელ რიგ პუნქტებში ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლები სწარმოებდა.

19 ნოემბერს ჩვენმა ჯარებმა დააზიანეს და მოსპეს გერმანელთა 45 ტანკი. საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 25 თვითმფრინავი.

★ ★

უნგრეთში ნ შენაერთის ნაწილებმა შეუპოვარი ბრძოლების შემდეგ დაიკავეს სოფელი [illegible]

[illegible]

...წითელარმიელებმა აქ, [illegible] და გორადეკში, რომლებიც ნიღმიან ველებზე გასასვლელებს იცავდნენ, ტყვედ ჩაიგდეს ორი გერმანელი მზვერავი და შტაბში მოიყვანეს ისინი.

• • •

წითელდროშოვანი ბალტიის ფლოტის ავიაციამ ბალტიის ზღვაში ჩაძირა გერმანელთა ტრანსპორტი 6,000 ტონა წყალწყვისა, ორი საგუშაგო ხომალდი და ორი სწრაფმავალი სადესანტო კარჯამი.

• • •

[illegible]

...ვერ მოახერხებენ, რომ საბჭოთა მიწა-წყალი საბოლოოდ გაიწმინდა ფაშისტი არამზადებისაგან. გერმანელები ვერც იხილავენ ვერც რიგას, ვერც ჩვენს სხვა ქალაქებს. შეშფოთებულმა და დამარცხებულმა ჰიტლერელებმა ვერაფერი ვერ ისწავლეს. რა ვუყოთ, წითელი არმია კიდევ მისცემს მათ რამდენიმე საგნობრივ გაკვეთილს.

ლაპარაკი ა. ი. ვიშინსკის პატივსაცემად რუმინეთის პრემიერ-მინისტრთან

ბუქარესტი, 18 ნოემბერი. (საკორ-სი). 17 ნოემბერს რუმინეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე გენერალ სანატესკუსთან გაიმართა ლარბაზობა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილე ა. ი. ვიშინსკის პატივსაცემად. ლარბაზობას დაესწრნენ ა. ი. ვიშინსკი, საკავშირო საკონტროლო კომისიის წევრები, რუმინეთის მთავრობის ყველა მინისტრი, რუმინეთის სამხედრო წრეების წარმომადგენლები, საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწეები, უცხოელი და რუმინელი ჟურნალისტები — სულ 250-მდე კაცი.

მებრძოლო, იცი თუ არა რას მოითხოვს შენგან ქვეითი ჯარის საბრძოლო წესდება?

მტკიცედ შეინარჩუნეთ საბრძოლო რიგი

„თვითეული მებრძოლი... ვალდებულია არ დასტოვოს თავისი ადგილი საბრძოლო რიგში, იმოქმედოს მეთაურის კომანდისა და მითითების მიხედვით, განუწყვეტელი კავშირი ჰქონდეს ათეულის მეთაურთან და მეზობლებთან", — აი რას მოითხოვს მებრძოლისაგან ქვეითი ჯარის საბრძოლო წესდება.

ფრონტელ მეომარს ამ სიტყვების მნიშვნელობის დასაბუთებისათვის მრავალი მაგალითის მოყვანა შეუძლია.

მებრძოლი წარმოადგენს ერთ-ერთ რგოლს ათეულის ჯაჭვში. თუ ეს რგოლი ამოვარდა, აშკარაა, რომ ჯაჭვის სიმტკიცე და მთლიანობა დაირღვევა. ერთმა მებრძოლმაც რომ დასტოვოს თავისი საბრძოლო რიგი, ამით იგი შეასუსტებს ათეულის საბრძოლო უნარიანობას, ხელს შეუშლის მის წინაშე მდგარი ამოცანის განხორციელებას.

წესდების მიხედვით მებრძოლები ათეულის შემადგენლობაში უტევენ ჯაჭვურად, ერთიმეორისაგან 7-8 ნაბიჯის დაცილებით. ასეთი დისტანციის დაცვას და თვითეული წითელარმიელის მიერ საბრძოლო რიგში თავისი ადგილის შენარჩუნებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. საკუთარი გამოცდილებიდან დავასახელებ ორ მაგალითს:

ბრძოლა სწარმოებდა სტანიცა კრასნოეს მიდამოებთან. ოცეულის მეთაურისაგან მე მივიღე ამოცანა. მტრის საცეცხლე წერტი, რომელიც უნდა მოესპო ჩვენს ათეულს, 700 მეტრის დაცილებით მდებარეობდა. ბნელი ღამე იყო. ვმოძრაობდით უხმაუროდ. ერთმანეთს 10 ნაბიჯზეც კი ვერ ვამჩნევდით. ტყის ავტომატჩიკების მიმართულებიდან მცირეოდენ გადახვევას მოჰყვებოდა ათეულის გაფანტვა. მე ხომ არ შემეძლო თვალყური მედევნებინა მებრძოლებისათვის, ან კომანდები მიმეცა მათთვის. მაგრამ ისინი საბრძოლო რიგის დაცვაში ხაჭმოდ მყავდა გაწრთვნილი და ამის იმედი მქონდა. მართლაც, მებრძოლები მოკლე გადარბენებით მიიწევდნენ წინ და ჩემთან კავშირს არ სწყვეტდნენ. მტრის საცეცხლე წერტს მალულად მივუახლოვდით. მეშვიდე უხმაუროდ მოვსპეთ და სანამ გერმანელები გონს მოეგებოდნენ, 2 ავტომატი მოვსპეთ, ხოლო 7 ტყვედ წამოვიყვანეთ. ამ ოპერაციისათვის მე და ჩემი თანამებრძოლები სამამულო ომის II ხარისხის ორდენით დავჯილდოვდით. მთავრობის ხოლო ჯილდო ერგოთ ათეულის ცალკეულ წევრებსაც.

მაგრამ ასე როდი ხდება, როცა ათეული არ იცავს საბრძოლო რიგს. თუ ათეული გაიშლება წესდებით ნაჩვენებ დისტანციაზე მეტად, ამით იგი ამცირებს მტრის მიმართ ცეცხლის სიხშირეს, მტერს კი ამ მომენტით ადვილად შეუძლია ისარგებლოს. ხოლო თუ კი მას საშუალებას მისცემ შეიჭრას შენს საბრძოლო რიგში, ამით დაჰკარგავ ინიციატივას და მდგომარეობის აღდგენისათვის გაცილებით მეტი მსხვერპლია საჭირო.

მაგრამ არც მეტისმეტი შემჭიდროება დასაშვები. როდესაც ქერჩში დესანტად გადავსხდით, ჩვენი მარჯვენა მეზობელი — მსროლელი ოცეული ძალზე შემჭიდროებულად მოქმედებდა. ამ დროს მტრის ნაღმსატყორცნებმა დაგვიშინეს. მე მახსოვს, ერთმა ნაღმმა 7 მებრძოლი გამოიყვანა წყობიდან. ოცეული მალე დაზარალდა და იძულებული გახდით მისი ამოცანა მეზობლებს შეგვესრულებინა.

ათეულის მეთაური პასუხისმგებელია თავისი მებრძოლების მოქმედებაზე. იგი ამავე დროს მაგალითის მიმცემელია ამხანაგებისათვის. მის უნარზე, ინიციატივასა და მამაცობაზე ბევრადაა დამოკიდებული საბრძოლო ამოცანის წარმატება. აშკარაა, რომ ათეულის მეთაური საბრძოლო რიგში წარმოადგენს ცენტრალურ ფიგურას და ყველა მებრძოლი ვალდებულია ჰქონდეს მასთან მუდმივი კავშირი, მკაფიოდ და ზუსტად მოახსენებდეს მას მტრის განლაგებაში შემჩნეულ ცვლილებათა შესახებ [illegible]

ქვეითი ჯარის საბრძოლო წესდება ხსნ[illegible]უსვამს, რომ „მებრძოლს უფლება არა აქვს თავისი ნებით დასტოვოს ბრძოლის ველი". [illegible] შემთხვევებში, თვით სიკვდილის საფრთხემაც კი, არ უნდა გასტეხოს მებრძოლის ნებისყოფა. წინაღმდეგ შემთხვევაში [illegible] ამხანაგებს, სამშობლოს. გაიხსენეთ 28 გმირი პანფილოველი. რა მამაცურად შეხვდნენ ისინი მტრის ურიცხვ ტანკების იერიშს და გმირობის საოცარი მაგალითი უჩვენეს. მათი მოქმედება საბრძოლო წესდების მოთხოვნილებათა შესრულების უმაღლესი გამოხატულება იყო.

მტრის ჭურვები და ნაღმები, ავტომატის, ტყვიამფრქვევის და ზარბაზნის ცეცხლი, ტანკების შეტევა, სამიერო თავდასხმა [illegible] იქნება, რომ შეარყიოს მებრძოლის ნებისყოფა, აიძულოს მიატოვოს საბრძოლო რიგი. აშკარაა, რომ საბრძოლო რიგის დაცვა უდიდეს მამაცობასთანაა დაკავშირებული. მტრის ცეცხლს ცეცხლით უპასუხე, მტკიცედ იარე წინ, ახლოს, სადაც შენი ნაღმები სკდება, მოკლე გადარბენებით მიიწიე მეთაურის მიერ ნაჩვენებ შემდეგ საცეცხლე ხაზამდე, ხოლო ყოველი გადარბენის შემდეგ მოწყვეტით დაეცი მიწაზე, ჩასაფრდი და შეიმაგრე, — გვასწავლის წესდება და თუ ასე იმოქმედებ, შენ მტერს მოსპობ ეფექტურად, მოხერხებულად, და აიძულებ მას უკან მოიქცეს.

ათეულის მეთაური ბრძოლის მართვას, საბრძოლო მოქმედებისას ყოველთვის ზუსტად უკარნახებს რომ დასვას დამატებითი ამოცანა. ამავე დროს მარტო მეთაურს არ შეუძლია შეამჩნიოს მტრის დაცვაში მომხდარი ცვლილებები, მისი მზაკვრული ხერხები. ზშირად მეთაური გამოდის წყობილებიდან, წესდება კი მებრძოლს ავალებს დაუყოვნებლივ იკისროს მეთაურის მოვალეობა. — აი რატომაა აუცილებელი, რომ მებრძოლს განუწყვეტელი კავშირი ჰქონდეს ათეულის მეთაურთან, ყოველთვის იცოდეს თუ სად იმყოფება იგი, მოკლედ, მკაფიოდ მოახსენოს შემჩნეულის შესახებ, დაიცვას მისი სიცოცხლე.

ბრძოლაში წარმატებისათვის აუცილებელია აგრეთვე განუწყვეტელი კავშირი მეზობელთან. ეს კავშირი მებრძოლს უადვილებს ამოცანის დაძლევას. თუ შენ ამჩნევ მტრის საცეცხლე წერტს, ხოლო შენს ზარბაზნის ტყვია ვერ წვდება მას, უჩვენე მიზანი მეზობელ მეტყვიამფრქვევეს ან ნაღმსატყორცნელს. მათი იარაღი უფრო მრისხანე და მოსამართლეა.

ამავე დროს წესდება მოითხოვს: **„თუნდაც ერთი მებრძოლის წარმატებით წინსვლას დაუყოვნებლივ უნდა დაუჭირონ მხარი სხვა მებრძოლებმა და მთლიანად ათეულმა. ბრძოლაში უსწორდი მხოლოდ მოწინავეს".**

რა თქმა უნდა, ზემოაღნიშნული ჩვევების გამომუშავება მებრძოლებში ერთბაშად არ შეიძლება. იგი ათეულის მეთაურის ხანგრძლივსა და სისტემატურ მუშაობას მოითხოვს. ტაქტიკურ მეცადინეობაზე ათეულის მეთაურმა რამდენჯერმე უნდა გაიმეოროს ერთიდაიგივე ამოცანა, ვიდრე არ დარწმუნდება, რომ მებრძოლებმა იგი იციან ავტომატიზმამდე. ვარაუდით ჩემი გამოცდილებიდან შეუძლიათ რიგ დეს. მე, მაგალითად, ათეულს ვამეცადინებდი შეტევაში, საბრძოლო რიგის დაცვა რომ ავტომატიზმამდე დამეყვანა, როგორც გავამეორე მებრძოლებმა ერთი და იგივე ამოცანა.

საჭიროა მეცადინეობის ჩატარება საფრონტო მდგომარეობასთან მიახლოვებულ გარემოში, ყოველგვარი პირობითობის გარეშე. ზოგიერთ მებრძოლს უყვარს მეცადინეობისას ოთხით გზით სიარული, იმის მომიზეზებით, რომ ეთითოს ნამდვილ მოწინააღმდეგესთან არა გვაქვს საქმე. ეს, რა თქმა უნდა, ცუდ გავლენას ახდენს შეთვისების ხარისხზე. ცუდი იმოქმედო იმა, როგორც მოქმედებენ ფრონტზე ჩვენი მამაცი გვარდიელები.

ამას კი მიაღწევ სწავლებით მოთხოვნილებათა მკაცრად დაცვით.

წითელი ვარსკვლავის და სამამულო ომის მეორე ხარისხის ორდენების კავალერი სერჟანტი ა. ბეჟითაძე.

ქალაქ კლაიპედის (მემელის) სამხრეთ-აღმოსავლეთით, საბჭოთა ქვეითი ჯარი უტევს.

ბელადის მოხსენებამ და ბრძანებამ უდიდესი აღმაფრენა გამოიწვია

უდიდესი აქტიობით ჩატარდა წითელარმიული კრება ლეიტენანტ მჭედლიძის ასეულში. სიტყვით გამოსულმა მებრძოლებმა და სერჟანტებმა ამხანაგებს მოუთხრობდნენ საბრძოლო და პოლიტიკურ მომზადებაში მათ მიერ მოპოვებულ წარმატებებზე, იმ დიდ ამოცანებზე, რომლებიც თვითეული მეომრის წინაშე დასახა ამხანაგმა სტალინმა თავის მოხსენებაში და ბრძანებაში დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXVII წლისთავზე.

— დიდმა ბელადმა სთქვა: „ახლა წითელ არმიას რჩება თავისი უკანასკნელი, საბოლოო მისია: ჩვენი მოკავშირეების არმიებთან ერთად დაამთავროს გერმანელ ფაშისტთა არმიის განადგურების საქმე, მოსპოს ფაშისტი მხეცი მის საკუთარ ბუნაგში და გამარჯვების დროშა აღმართოს ბერლინში". ამ გადამწყვეტ და საბოლოო ბრძოლებში მონაწილეობის მიღება ღირსების საქმეა, — განაცხადა ასეულის მეთაურმა ლეიტენანტმა მჭედლიძემ.— ამ დღისათვის ყოველმხრივ უნდა ვიყოთ მომზადებული. შეხედეთ ჩვენს მამაც ფრონტელებს, რა სწრაფი და გამანადგურებელია მათი შეტევა. ჩვენი ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ დაუღალავად ვისწავლოთ ფრონტელთა მდიდარი საბრძოლო გამოცდილება, გავხდეთ ჩვენი იარაღის ოსტატები და ვერაგ მტერს ვუტყათ მისსავე ტერიტორიაზე ისეთივე გამანადგურებელი ძალით, როგორითაც ურტყამენ მას გვარდიელები.

წითელარმიული კრების შემდეგ ასეულში გაიშალა გაცხოველებული მუშაობა სტალინური დოკუმენტების ღრმად შესწავლისათვის.

ქვეგანაყოფის ლენინის ოთახში თვალსაჩინო ადგილზე გაკრულია ამხანაგ სტალინის მოხსენებისა და ბრძანების ტექსტი. იქვე, დიდ რუკაზე წითელი ისრებით აღნიშნულია ათი ძირითადი დარტყმა, რომელიც წითელმა არმიამ აგემა გერმანელ ფაშისტთა ჯარებს მიმდინარე წლის განმავლობაში.

ოფიცერთა შემადგენლობისა და აგიტატორებისათვის ჩატარდა საინსტრუქტაჟო თათბირები. ისინი უზრუნველყოფილი იქნენ ბელადის მოხსენებისა და ბრძანების ტექსტითა და დამხმარე ლიტერატურით.

პირადი შემადგენლობის უმეტესობა ამ ისტორიულ დოკუმენტებს ინდივიდუალურად სწავლობს. თავისუფალ საათებში მებრძოლები თავს იყრიან ოთახში. აქ ერთმანეთს უზიარებენ თავიანთ შთაბეჭდილებას. ისინი მეცადინეობენ რუკაზე, სადაც აღნიშნულია წითელი არმიის გმირული გზა სტალინგრადიდან უნგრეთამდე, ვარშავამდე და აღმოსავლეთ პრუსიამდე.

საბრძოლო და პოლიტიკური მომზადების ფრიადოსანი სერჟანტი დანგაძე, ეფრეიტორი შუბითიძე, მებრძოლები სამხარაძე, ლობჟანიძე, კიკნაძე და სხვ. სტალინური დოკუმენტების შესწავლის საუკეთესო მაგალითებს იძლევიან. ისინი ადგენენ ბელადის მოხსენების მოკლე კონსპექტს, ყურადღებით კითხულობენ ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებულ წერილებს, იყენებენ რუკას და სხვ.

აგიტატორი გაბილაიშვილი წერაკითხვის მცირემცოდნე მებრძოლებს აქტიურ დახმარებას უწევს ბელადის მოხსენებისა და ბრძანების შესწავლაში. მისი პრაქტიკული დახმარებით ეფრეიტორმა შუბითიძემ, რომელსაც დაბალი განათლება აქვს, უკვე შეისწავლა სტალინის მოხსენების მეორე თავი.

ბელადის მოხსენებამ და ბრძანებამ უდიდესი აღმაფრენა გამოიწვია. ქვეგანაყოფის მებრძოლები, სერჟანტები და ოფიცრები ცდილობენ აჩვენონ დისციპლინის, ორგანიზებულობისა და საბრძოლო ამოცანების საუკეთესოდ შესრულების მაგალითები.

უმცროსი ლეიტენანტი
გ. ზეიკიძე.

საარტილერიო გამოფენაზე

სტალინის სახელობის სანაპირო ქუჩის შესასვლელთან დგას ზარბაზანი. სკვერში შესვლამდე ხალხი ჩერდება, ათვალიერებს ამ მრისხანე იარაღს.

— 203 მმ ჰაუბიცაა, — განმარტავს კონსულტანტი.

— აი საბჭოთა არტილერიის ძალა, — ამბობს ამბობს 70 წლის მოხუცი ივანე კვიტია.

— მტრის ყოველგვარ სიმაგრეს სპობს, — სთქვა გვარდიელმა, რომელიც მოხუცის გვერდით დგას.

სიხარულითა და აღტაცებით ათვალიერებენ მოსწავლეები, სტუდენტები, მუშები, მოსამსახურენი, მეცნიერები, მწერლები, ქალები, მფრინავები, ტანკისტები, არტილერისტები მრისხანე საბჭოთა არტილერიის საჭურვლის აქ წარმოდგენილ ნიმუშებს.

— მრავალი ასეთ ზარბაზნის ჭურვი მოუხვდა გერმანელებს, — სთქვა გვარდიელმა. იგი მიბრუნდა მოხუცისაკენ და სთხოვა გაევლო მასთან ერთად სკვერში.

კიბესთან ჩამოსვლისას ივანე კვიტია შეჩერდა. მის წინ ერთმანეთის პირდაპირ აღმართული იყო ორი გრძელლულიანი ზარბაზანი.

— ეს 152 მმ ჰაუბიც-ზარბაზანია. ჩვენი არტილერისტები ამ იარაღით ურტყამდნენ და ურტყამენ გერმანელებს ტყეებსა და მთებში, სანგრებსა და ძელმიწურ ხანგრძლივ საცეცხლე წერტებში.

— მართალია, შვილო, — სთქვა მოხუცმა, და დახედა რა გვარდიელის ორდენებით დამშვენებულ მკერდს, დაუმატა:

— მადლობა სტალინს!

ამ სიტყვებს იმეორებდა ყველა, ვინც კი გამოფენას ინახულა.

მოედანზე დგას გრძელი და ვიწრო ლულიანი ზარბაზნები, რომლებიც მიმართულია ცისაკენ. ეს საზენიტო არტილერიაა.

— აი ამ ზარბაზნიდან,—განმარტავს მაიორი ტოლმაჩოვი, — მიზნისკენ ისვრიან 80-90 მეტრის წუთში.

უფრო მოზენიტეთა მეურნეობა. აქ დგას სხვადასხვა ყალიბის ზარბაზანი, დაწყებული 20 მმ-ით და დამთავრებული 85 მმ-ით. აქვე განლაგებულია ყველა ის რთული ხელსაწყოები, რომლებიც ესაჭიროება მეზენიტეებს მტრის თვითმფრინავებზე ზუსტი სროლისათვის.

გვარდიელი და მოხუცი მისდევენ ხეივანში, მათ უკან მიდიან მუშები, სტუდენტები, სახელოსნო სასწავლებლების მოსწავლეები. ბილიკზე სხვადასხვა ყალიბის ჰაუბიცებია.

— ეს ის ჰაუბიცებია, რომლებიც მიწიდან სწვდებიან გერმანელებს და მიწაშივე მარხავენ მათ, — იხუმრა გვარდიელმა.

— ამ ჰაუბიცებმა მტერს გზა გადაუღობეს კავკასიისაკენ, — დაუმატა მუშამ ალექსანდრე ქებურიამ.

მოედანზე მნახველები ათვალიერებენ პატარა, დაბალ ზარბაზნებს.

— ეს ტანკსაწინააღმდეგო არტილერიაა, — განმარტა გამოფენის ხელმძღვანელმა პოდპოლკოვნიკმა სიდოროვმა. ამ ზარბაზნებით არტილერისტები ებრძვიან ტანკებთან ერთად.

— მეზობელ მოედანზე დგას სადივიზიო არტილერია, მარჯვენივ—საამოო ზარბაზნებია.

ამის შემდეგ მნახველები გაემართნენ ხეივნისაკენ. აქ მაგიდებზე აწყვია ავტომატები, ხელისა და დაზგის ტყვიამფრქვევები, სხვადასხვა ყალიბის ნაღმსატყორცნები.

აი ფართო მოედანი. აქ წარმოდგენილია გერმანული ზარბაზნები. ეს ზარბაზნები მტერს წაართვეს კავკასიის მისადგომებთან. კუთხეში დგას დაზიანებული საალყო ზარბაზანი. ამით გერმანელებს უნდოდათ ცეცხლი დაეშინათ კავკასიის ქალაქებისათვის. მაგრამ გვარდიელ-ვეტერანის მებრძოლებმა ხელთ იგდეს იგი.

როდესაც მოხუცი მივიდა 105 მმ გერმანულ ზარბაზანთან, მან სთქვა:

— რა დიდი ოსტატები არიან ჩვენი არტილერისტები!

დიდხანს ათვალიერებდა ივანე კვიტია ამ ზარბაზანს, მას ემჩნეოდა 3 პირდაპირი მოხვედრის კვალი.

— დიდება თქვენ არტილერისტებო, — გვარდიელთან გამომშვიდობების დროს სთქვა მოხუცმა და თან დაუმატა:

— აი ასე უნდა წაიძრო თავი ჰიტლერს, როგორც ამ უცხოთ გზებს ლულა მოუკვეთია გერმანული ზარბაზნისათვის, დიახ, ასე მოუნდება საზიზღარ მტარვალს.

არტილერიის დღეს მრავალმა ათასმა თბილისელმა ინახულა გამოფენა. მათ დიდი ინტერესით დაათვალიერეს მრისხანე საბჭოთა არტილერიის საჭურველი. ისინი გულითად მადლობას უძღვნიან დიდ სტალინს, რომელმაც შექმნა წითელი არმიის ასეთი მძლავრი არტილერია.

ი. რიჟინკო.

დიდი რუსი იგავთმწერალი ი. ა. კრილოვი

(გარდაცვალებიდან 100 წლისთავის გამო)

რუსი და ქართველი კლასიკოსები კრილოვის შესახებ

იგავი, არაკი, ზღაპარი იმისთანა სახეა, კაცის აზრისა, რომელიც ხატულ და საზრდო ჭეშმარიტებას ზედმიწევნით გვიხატავს ხორცშესხმულად, ჭკუას გაასწავლის, გვართობს, ზნეს გვიწვრთნის, ავსა და კარგს გვანიშნებს ერთმანეთში გასარჩევად... (ეს) მადლია, რომლითაც ასე გამორჩეულნი არიან ეზოპე, ლაფონტენი, გრიმმები — ძმანი, ანდერსენი, კრილოვი, საბა ორბელიანი და სხვანი, ამ სახით მქადაგებელნი სიბრძნისა და ჭეშმარიტებისა.

ილია ჭავჭავაძე

* * *

... მან აირჩია ყველაზე უფრო შეუმჩნეველი და ვიწრო ბილიკი, მიდიოდა მასზე თითქმის უხმაუროდ, ვიდრე არ გაიზარდა ხნევებზე მაღლა, როგორც ფესვმაგარი მუხა ამაღლდება ხოლმე ტყეში, რომელიც მანამდე მას ფარავდა. ეს იყო პოეტი კრილოვი, აირჩია მან ფორმა იგავისა, უგულვებელყოფილი ყველას მიერ, როგორც ძველი ნივთი, გამოუყენებელი მოხმარებისათვის და თითქმის სახუმრო სათამაშოდ გადაქცეული — და ამ იგავის საშუალებით შესძლო გამხდარიყო სახალხო პოეტად. ეს ჩვენი ძლიერი რუსული თავია, სწორედ ის ჭკუაა, რომელიც ენათესავება ჩვენს ანდაზების ჭკუას, სწორედ ის ჭკუა, რომლითაც ასე ძლიერნი რუსი ადამიანი, ეს არის დასკვნათა ჭკუა. ჩვენი ანდაზები ყველა სხვა ხალხის ანდაზებზე მნიშვნელოვანია. აზრის სისავსის გარდა თვით გამოთქმის სახეობაშიც მათში გამოსახა ჩვენი ხალხური თავისებურებანი.. აქედან გამოდის კრილოვი, მისი იგავები ხალხის საკუთრებაა და თვით ხალხის სიბრძნეთა წიგნს შეადგენენ, ერთი სიტყვით მის შემოქმედებაში რუსეთი და რუსეთის სურნელება იგრძნობა... ამის გარდა მის ყოველ იგავს აქვს ისტორიული წარმოშობა... პოეტი და ბრძენი მასში ერთ არსებად განსახიერდნენ.

ნ. გოგოლი

კრილოვმა შექმნა ნაციონალური რუსული იგავ-არაკი და ამით პირველმა შეიტანა რუსულ ლიტერატურაში ხალხურობის ელემენტი... ისეთი დიდი და თვითმყოფადი ნიჭი, როგორიც იყო ნიჭი კრილოვისა, საკმარისი იყო იმისათვის, რათა პოეტი თვით ყოფილიყო მოთავე და წარმომადგენელი ლიტერატურის მთელი პერიოდისა. კრილოვის იგავებს წაიკითხავენ ყოველთვის, ვიდრე რუსული სიტყვა იქნება ცოცხალ ენად ცოცხალი ხალხისა.

ბ. ბელინსკი

ი. ა. კრილოვი

გუგული და მამალი

„ოჰ, მამალო საყვარელო,
რა ზვიადად, რა მხნედ გალობ!"
— „მომხიბლავი ხმა გაქვს მეტად
შენც, გუგულო, ქვეყნის თვალო!

მგალობელი შენისთანა
ჩვენ არა გვყავს ირგვლივ ტყეში".
— „ნათლო, შენი ყიჟილის დარს
რას მოვისმენ მე ჩემ დღეში?!"

— „შენ კი, ტურფავ, როს ნუმღერი
მე მესმობა თითქოს ყური
და ვნატრულობ, რომ დაიწყო
კვლავ გალობა საამური.

სადა ჩნდება ხმა ასეთი?
მაღალია, სუფთა ნაზი!
თვით ხტვენაც კი ბულბულისა
ნაკლებია სილამაზით".

— „გამიგონე ნათლო, მაგიერად
(დამომოწმებს ამას ყველა)
შენ სჯობიხარ გალობაში
სამოთხის ჩიტს ფეშველად".

აქ ბელურას ხმა გაისმა
— „თქვენ ერთმანეთს დიდად სწყალობთ,
მაგრამ უნდა მოგახსენოთ —
ორივენი ცუდად მგალობთ!..."

ამ სიტყვათა მიზეზს ფიცავ,
თუ არ არის დასამალი:
გუგული რომ აქებს მამალს,
მიტომ აქებს მას მამალი.

თარგმანი კონსტ. ჭიჭინაძისა

კონსტანტინე კაპანელი

კრილოვი

საბჭოთა კავშირის ხალხთა ისტორია დიდი ბრძოლებისა და დიდი იდეების ისტორიაა: ჩვენს ხალხებს კულტურის ყველა დარგში თავიანთი წვლილი შეჰქონდათ; ასე იქმნებოდა დღევანდელი ჩვენი ძლიერებისა და გამარჯვების ისტორიული საფუძველი როგორც ხმლით, ისე კალმით.

რუსი ხალხის კლასიკურ ლიტერატურას დიდი ხანია მოწინავე ადგილი უკავია მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში სწორედ იმით, რომ მას ჰყავს ყველა ჟანრის ორიგინალური და უდიდესი წარმომადგენლები. ივანე ანდრიას-ძე კრილოვი შევიდა ლიტერატურის ისტორიაში, როგორც იგავების და ხალხური სიბრძნის მხატვრულად გამომთქმის დიდი ხელოვანი.

კრილოვის კომპოზიციის სოციალ-ისტორიული წყარო აქვს: ის არა მარტო იკვებება ხალხური სიბრძნით, არამედ ხალხის ინტერესებიდან გამომდინარეობს, ხალხის ტკივილებსა და მოთხოვნილებებს გამოსახავს კრილოვი იცნობს ხალხის სულიერ ცხოვრებას, ინტერესებს, სურვილებს, ტკივილებს, სიხარულს: კრილოვის ალეგორიებში უხვად არის მოცემული ხალხური მეტაფორები, ანდაზები, ორიგინალური თქმები. კრილოვის იგავებში გამოყვანილი ცხოველები, ფრინველები, მცენარეები ადამიანთა ყოფა-ცხოვრების დამახასიათებელ თვისებათა და ქცევათა განსახიერებაა: ზოომორფიულ სახეებში იგულისხმებიან ადამიანები, მათი საზოგადოებრივი, ოჯახური, პოლიტიკური ურთიერთობა, მათი ზნეობრივი თვისებები. კრილოვი კარგად იცნობს თავისი დროის საზოგადოებას; იგავებში — „ძაღლი და ცხენი", „ფოთლები და ფესვები", „არწივი და თხუნელა" — დახასიათებულია ბატონ-ყმური წყობილება, მისი უსამართლობა, ბატონობისა და ჩაგვრის ფორმები. იგავში „გლეხი და მელა" მოცემულია დიდი მნიშვნელობის სოციალური სატირა: კრილოვი აქ დასცინის რეაქციასა და რეაქციონერებს.

1812 წლის რუსეთის სამამულო ომი ნაპოლეონის იმპერიის წინააღმდეგ კრილოვს მოცემული აქვს მრავალ იგავში, საკმარისია მოვიგონოთ კრილოვის „ყვავი და ქათამი", რომელშიაც ირონიულად გამოყვანილია ნაპოლეონის დამშეული ჯარისკაცები, რომლებიც ყვავებზე ნადირობენ, კრილოვის ირონია ამ იგავში იღებს მწარე სატირის ფორმას; კრილოვს აქვს თვით ნაპოლეონის დახასიათებაც — განხორციელებული დიდი მხატვრული სიმკვეთრით. ერთ-ერთ იგავში გამოყვანილი არიან ნაპოლეონი და კუტუზოვი, როგორც ერთმანეთის მოწინააღმდეგენი, აქვე დახასიათებულია რუსეთის ლაშქარი. საინტერესოა როგორ ახასიათებს კრილოვი ნაპოლეონს? იმპერატორი ნაპოლეონი გამოყვანილია მგლის სახით: მგელი თურმე ფიქრობდა ცხვრების მოტაცებას და მოულოდნელად მომწყვდეული და გარშემორტყმული აღმოჩნდა. დაინახა რა საშიში მდგომარეობა, მგელი იწყებს მეგობრული ენით ტკბილ საუბარს:

„მოამწყვდიეს მოსაკლავად,
მომწყვდეულს მარჯვედ მგელმა,
მან კი თავი მოიმდაბლა,
რომ არ ჰქონდა სხვა საშველი,
ტკბილად ბრძანა: „რა გამწყრებთ,
— არაფერი გამეგება!
მე რომ სამტროდ არ მოვსულვარ!
მინდა თქვენთან შერიგება!
დავივიწყოთ, რაც აქამდის
ერთმანეთში გვქონდა მტრობა!
შემდეგისათვის დავაპიროთ
მოყვრობა და მეგობრობა!".

კრილოვი ზოომორფიულად იძლევა შემინებულ მტრის ფსიქოლოგიას; გარშემორტყმული მტერი, შიშისაგან ცახცახებს, თავს ისაწყლებს, ყველას მოყვრობას და მეგობრობას პირდება, ოღონდ ცოცხალი გადარჩეს, მაგრამ იგი დამხდურთა მოტყუებას ველარ ახერხებს. აი პასუხი, რომელიც მგელმა მიიღო:

„...მეცნობ, კარგად გიცნობ,
რაც შენც ხარ! მოგიხვდები!
შენ რუხი ხარ, მე ჭაღარა,
სიბერით ვერ გამაბრიყვებ,
არა, ჩვენი შერიგება
მხოლოდ მაშინ შეიძლება,
როცა ტყავის გაძრობის დროს
ზურგზე ტყავი აგეცლება".

ეს იგავი მშვენიერი ილუსტრაციაა ჩვენი ძირითადი დებულებისა: ცხოველთა სამყარო კრილოვის კომპოზიციაში მხოლოდ ტრამპლინია ადამიანთა ყოფა-ცხოვრებაში შეჭრისათვის, ისტორიისა და სოციალური ამბების გამოსახვისათვის, პოეტური საქმიანობის მომართვისათვის პოლიტიკური მიზნებისაკენ.

კრილოვს, როგორც იგავების ხელოვანს, ვერ შეედრება ვერც ერთი მწერალი მსოფლიოში: მისი კომპოზიცია იმ ზომამდე მოქნილია და ელასტიური, მისი მეტყველება ისე ხალხურია და მარტივი, რომ ადვილად რჩება ყველას მეხსიერებაში, ვისაც კი კრილოვის იგავები ერთხელ მაინც წაუკითხავს.

მრავალ თვის იგავში კრილოვი ქადაგებს განმანათლებლურ იდეებს, მაღლა აყენებს ცოდნას, უნარს, მიხვედრას. იგავში „მაიმუნი და სათვალეები" კრილოვი სატირიკული გაწყობილებით ახასიათებს ისეთ ადამიანებს, რომელთაც ნივთების და საგნების მოხმარება არ იციან საჭიროებისა და მოთხოვნილების მიხედვით; დიდი მხატვრული ოსტატობით არის მოცემული იგავში „მაიმუნი და სარკე" ფსიქოლოგია ისეთი ადამიანის, რომელიც თავის ნაკლს ვერ ამჩნევს და სხვას აკრიტიკებს, რომელიც მოკლებულია უნარს თავის თავი დააკვირდეს, თავის სახის და ქცევის დეფექტები გაასწოროს.

შესანიშნავია ლირიკული სილამაზით შემკული იგავი „ვირი და ბულბული", ღრმა აზრია გამოსახული ამ იგავში: კრილოვი გვასწავლის, რომ სწორი შეფასება შეუძლია მხოლოდ მას, ვისაც საგნის ცოდნა და გაგება აქვს. ბულბულმა ვირს უმღერა თავისი მშვენიერი ხმის მდიდარი მოდულაციებით, მაგრამ ვირმა მაინც მეუთითა ბულბულს, რომ ის მამლისაგან საჭიროებს სიმღერის სწავლებას.

ამჟამად კრილოვის იგავები თარგმნილია თითქმის ყველა კულტურული ერის ენაზე. კრილოვს სწავლობენ რუსეთის გარედაც. კრილოვი თავისი იგავების მშვენიერი კომპოზიციით, მოქმედებათა მდიდარი სიტუაციებით, ჰუმანიური მორალური კონცეპციებით ღირსეულად დგას დიდი რუსი კლასიკოსების გვერდით, რომელთაც გაამდიდრეს მსოფლიო ლიტერატურა დიადი სახეებით, დიდი ფსიქოლოგიურ-ფილოსოფიური პრობლემებით, ადამიანის სულისა და გონების სიღრმის მხატვრული განსახიერებით,

---

*) იბეჭდება შემოკლებით

საზღვარგარეთ

საომარი მოქმედება დასავლეთ ევროპაში

ლონდონი, 20 ნოემბერი. (საქდესი). რომის რადიოს სააგენტო გადმოგვცემს, მოკავშირეთა საექსპედიციო ძალების უმაღლესი სარდლობის შტაბის ცნობაში ნათქვამია:

[illegible]



ორდენით „გმირი დედა" დაჯილდოებული მარიამ ფრიდონაშვილი (მარცხნივ) და მისი თერთმეტი შვილი: სონია, ანიკო, ნინა (ზემოთ), ბარბარე, მანველი, თამარი (შუაში), ლილი, მერი, ლენა, გოგი და ვახტანგი (ქვემოთ). ფოტო რ. [illegible]

მარიამ ფრიდონაშვილი

უსაზღვრო სიხარულს განიცდის მარიამ ფრიდონაშვილი. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა იგი „გმირი დედის" ორდენით დააჯილდოვა.

[illegible]

... და მისი შვილების ამხანაგები და მეგობრები.

შესდგა მიტინგი, რომელიც გახსნა მშრომელთა დეპუტატების მცხეთის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. ნ. მელიქიშვილმა. სიტყვით გამოვიდა საქართველოს კ. პ. (ბ) მცხეთის რაიკომის მდივანი ამხ. შ. ქართველიშვილი.

[illegible]

ზეიმი დღეს მარიამის ოჯახში. „გმირი დედის" ორდენით დაჯილდოებასთან დაკავშირებით მასთან მოსალოცად მივიდნენ რაიონის პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების ხელმძღვანელი მუშაკები, კოლმეურნეები, მარიამისა [illegible]

[illegible]

საბჭოთა კავშირში

უმოტორო კომბაინი

სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სახალხო კომისარიატმა მისცა დავალება [illegible]

[illegible]

დიდი გაზაფხულის სადგური. დღე-ღამეში აქ ბუნებრივი გაზით დამუხტავენ ათას მანქანას. (საქდესი).

★

200 ტონა ბოსტნეული გეგმის გადამეტებით

თბილისის რაიონის კოლმეურნეობებმა 18 ნოემბრისათვის მთლიანად შეასრულეს სახელმწიფოსათვის ბოსტნეულისა და კარტოფილის ჩაბარების წლიური გეგმა. ჩაბარებულია 2,102 ტონა ბოსტნეული.

დიდი სტალინის საოქტომბრო მოხსენების მიხედვით კოლმეურნეობებმა იკისრეს 1 დეკემბრისათვის გეგმის გადამეტებით სახელმწიფოს ჩააბარონ 200 ტონა ბოსტნეული.



ნოემბერი

21

სამშაბათი

1694—დაიბადა ფრანგი მწერალი და ფილოსოფოსი ვოლტერი (გარდ. 1778 წ.).

1844—გარდაიცვალა იგავ-არაკების ცნობილი მწერალი ი. ა. კრილოვი.

1937—გარდაიცვალა კომპოზიტორი მ. ა. ბალანჩივაძე (დაიბ. 1862 წ.).

მარი ფრანსუა ვოლტერი.

★ ★

ნარევი

უძველესი საათი

ყველაზე უძველესი საათი გაკეთებულია 1410 წელს. მიუხედავად სიძველისა, ეს საათი დღემდე კარგად მუშაობს, ძნელია წარმოდგენა იმისა, თუ საათის ისრებმა რამდენჯერ შემოუარეს ციფერბლატს. ამ საათის ისრები მოძრაობდნენ უკვე, როცა კოლუმბმა ამერიკა აღმოაჩინა. ამერიკის აღმოჩენა კი 1492 წელს მოხდა. მაშინ საათი 82 წლისა იყო.

ეს საათი ინახება ნიუ-იორკის უნივერსიტეტის მუზეუმში (ჩრდილო ამერიკის შეერთებული შტატები).

სამშობლოს დამცველთა ოჯახების დახმარების კვირეული

(საუბარი საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. კ. თარგამაძესთან)

საქართველოს ქალაქებსა და სოფლებში დიდი წარმატებით მიმდინარეობს სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახების დახმარების კვირეული.

კვირეულის ჩატარებაში განსაკუთრებული აქტიობა გამოიჩინეს გორის რაიონის მშრომელებმა. წინასწარი ცნობებით იქ შეგროვებულია 100 ტონა მარცვლეული, 50 ტონა ბოსტნეული, 5 ტონა კარტოფილი და სხვა პროდუქტები.

[illegible] რაიონის მშრომელებმა 16 ნოემბრისათვის შეაგროვეს 44 ტონაზე მეტი ხორბალი და სიმინდი, 1,4 ტონა ლობიო, 1,800 კილოგრამი ხახვი, 309 კუბმეტრი შეშა, 56 ლიტრი ზეთი, 514 კილოგრამი მზესუმზირა, 150 კილოგრამი ბრინჯი, 150,321 მანეთი ფული. კვირეულის პირველი დღეების განმავლობაში შეკეთებულია სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახების 64 ბინა.

[illegible] რაიონში თავიდანვე ენერგიულად მოჰკიდეს ხელი ფრონტელთა ოჯახების დახმარების კვირეულის ჩატარებას. წინასწარი ცნობებით იქ შეგროვებულია 41,750 კილოგრამი მარცვლეული, 58,300 მანეთი ფული, 1,500 კილოგრამი ბოსტნეული, 600 კილოგრამი [illegible], 100 ლიტრი ზეთი, აგრეთვე ლობიო, კარტოფილი, ღვინო და არაყი.

სოფელ [illegible] კოლმეურნეობა „განთიადის" წევრებმა ფრონტელთა ოჯახების დახმარების ფონდში შეიტანეს 2,600 კილოგრამი სიმინდი, 60 კილოგრამი ლობიო, 4,000 მანეთი ფულად.

აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში წინასწარი ცნობებით 16 ნოემბრისათვის შეგროვებული ჰქონდათ 10 ტონა სიმინდი, 4,5 ტონა ლობიო, 1,7 ტონა კარტოფილი, 2,500 კუბმეტრი შეშა და 220 ათასი მანეთი ფული. შეკეთებულია სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახების 47 ბინა.

ქარელის რაიონის მშრომელებმა 15 ნოემბრის ცნობებით შეგროვებული ჰქონდათ 20 ტონა მარცვლეული, 2,882 კილოგრამი ლობიო, 1,962 კილოგრამი ხახვი, 50 კილოგრამი ყველი, 250 კილოგრამი კარტოფილი, 102 ქათამი, 7 ტონა ბოსტნეული, ერთი ტონა შაქარი, 49 კილოგრამი თხილი, 1,120 კილოგრამი ვაშლი, 600 ლიტრი ღვინო და არაყი, 30 სული შეწველი თხა და ცხვარი, რაც გადანაწილდება ფრონტელთა იმ ოჯახებს, რომლებსაც [illegible] 45 ოჯახს.

[illegible] რაიონში 15 ნოემბრის ცნობებით შეგროვებულ იქნა 23 ტონა სიმინდი, 3,900 კილოგრამი ლობიო, 3,400 კილოგრამი ხორბალი, 1,600 კუბმეტრი შეშა. რაიონში შეკეთებულია სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახების 67 ბინა.

[illegible]